ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲕᲔᲣᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

СССР

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 27 (20368) — ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ — ᲦᲘᲐᲜᲘ 5 ᲙᲐᲞ.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი ვახტანგ კუბლაშვილი საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივის ღირსეული წევრია. სახელი მოიხვეჭა გამრჯეობით, მუშური უტყუარობითა და კაცურ კაცობით. ამიტომაც წამოაყენეს თანამშრომლებმა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: ვ. კუბლაშვილი; ვ. კუბლაშვილი (მარცხნიდან) და მისი ბრიგადის წევრები მ. ბარამიძე, გ. კურკა, ე. გელაშვილი, ი. გაჯიევი და ი. კუტალაძე.

ᲯᲣᲐᲕᲐᲠ ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲘᲡ („კომუნისტი“) ფოტო.

ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲭᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ?

ᲐᲜᲣ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲣᲡᲕᲘᲡᲐᲡ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ მეციტრუსეებმა შარშან, მართლაც რომ, უხვი მოსავალი მოიწიეს: საგეგმო 200 ათასის ნაცვლად 401,3 ათასი ტონა ციტრუსი დამზადდა. მაგრამ რაც მოვიწიეთ, ხეირიანად, უდანაკარგოდ დავაბინავეთ და დროულად მივაწოდეთ კი მომხმარებელს? ერთი ანდაზისა არ იყოს, დიდ ქარავანს დიდი ეზოკარი სჭირდებაო, უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღება-დაბინავებისთვისაც დაძაბული და ორგანიზებული შრომა იყო საჭირო, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ამას მიგვანიშნებს თუნდაც ის სიგნალები, რომლებიც რედაქციაში მოდის. მომხმარებელი გვეკითხება, თუ რაღომ არ არის დედაჟალის ხავაჭრო ქსელსა და იმ მაღაზიებში, რომლებსაც მოსახლეობისაგან ნამეტი პროდუქტების შესყიდვის უფლება აქვთ, მანდარინი, ლიმონი თუ ფორთოხალი, ხოლო რაც არის, რატომაა ტრიფოლიატის მწარე ნაყოფივით წვრილი და მწკანე, სასაქონლო ღირებულებადაკარგული?

არადა, საკოლმეურნეო ბაზრებში ციტრუსოვანთა სიუხვეა. მობრძანდით და შეიძინეთ საუკეთესო ხარისხის ნაყოფი, ოღონდ მამასისხლად, კილოგრამში მანდარინი 5 მანეთად, ერთი ცალი ლიმონი — მანეთად, ძვირია ფორთოხალიც. და ეს მაშინ, როდესაც სასურსათო პროგრამის გადაყვეტას ესოდენ დიდი ყურადღება ეთმობა და ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲔᲜᲖᲔᲒᲘ ასე დაბეჯითებით ვლაპარაკობთ. შემოღნიშნული მაგალითები კი მიანიშნებს, რომ სინამდვილეში ჯერაც ყველას ვერ დაუღწევია თავი უძრაობის წლებში დამკვიდრებული მუშაობის მანკიერი გავლენისაგან, თორემ, აბა, სხვას რას უნდა მიეწეროს ასეთი დეფიციტი ასეთი სიუხვისას?

იმ მიზნით, რომ საჯაროდ და დასაბუთებულად გაგვეცა პასუხი მომხმარებელთა სამართლიანი საყვედურისათვის, ვეწვიეთ საქართველოს სახაგრომრეწვის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებს. საუბარში მათ ამის გამომწვევი ბევრი მიზეზი დასახელეს, ზოგი ობიექტური, ზოგიც — არაობიექტური. არადა, ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფისა და დამზადების სეზონის დაწყებამ წინ მეციტრუსეთა რესპუბლიკურ თათბირზე ითქვა, რომ მოსავალმა შესაძლოა მოლოდინს გადააჭარბოს, სპეციალისტებმა პროგნოზი სწორად დასახეს და გამართლდა კიდეევაც, ამიტომაც ნაყოფის უდანაკარგოდ აღება-დაბინავებისათვის ამთავითვე უნდა ვიზრუნოთო. რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებმა და დამამზადებლებმაც არ დააყოვნეს და მაღალი ტრიბუნიდან რიხიანად განაცხადეს, რომ ყველაფერს იღონებდნენ ციტრუსების შემჭიდროებულ ვადებში,

უდანაკარგოდ და ხარისხიანად აღება-დამზადებისათვის. არც ტრანსპორტის მუშაკები დარჩენილან ვალში — რკინიგზის ვაგონებთა და სავტომობილო ტრანსპორტით მეციტრუსეები უზრუნველყოფილი იქნებიანო, დაგვიამდეს. დიახ, რიხიანი დაპირებები საკმაოდ იყო, მაგრამ...

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ, ნოემბრის მეორე დეკადიდან, მძიმე დღეები დაუდგათ რესპუბლიკის მეციტრუსეებს. კოკისპირულ წვიმებს და ძლიერ ქარს ნაადრევი თოვლიც მოჰყვა. ნაყოფით დახუნძლული ხეების ტოტები თოვლმა უფრო დაამძიმა. ზოგან მისმა საფარმა 20-25 სანტიმეტრს მიაღწია, ტოტები დაამსხვრია, ნაყოფი დააზიანა. დიდმა და პატარამ პლანტაციებს მიაშურა, ხეებს თოვლისგან ფერთხავდნენ. ცოდი ამინდების გაგრძელების შიშით ნაყოფის კრეფაც ადრე დაიწყეს. ადრე დაკრეფილი კი შემფუთავ ქარხნებს თუ დროულად არ ჩაბარდა, ფუჭდება და ლპება. ყველა რაიონში შეიქმნა ციტრუსოვანთა უდანაკარგოდ აღების, დამზადებისა და რეალიზაციის შტაბები. დაწესდა შემფუთავ და საკონსერვო ქარხნებში პროდუქციის ჩაბარების გრაფიკები, მაგრამ პიკებსა და ეერიშობანას თავი მაინც ვერ დააღწიეს. განსაკუთრებით საკარმიდამო ბაღების მეპატრონენი „ბობოქრობდნენ“. ვერც გაამტყუნებდითო: რესპუბლიკაში სულ დამზადებული 401,3 ათასი ტონიდან ხომ მათ წილად 311,6 ათასი ტონა ციტრუსი მოდიოდა. ჰოდა, ასეთ დაძაბულ სიტუაციაში შეხლა-შემოხლას, ნერვიულობას და ცალკეულ ნეგატიურ მოვლენებსაც ადგილი რომ ჰქონოდა, არც არის მოლად გასაკვირი.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲥᲔᲑᲐᲫᲔ — „საქსოფლმომარაგების“ რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე:

— უმინდობამ მართლაც დიდი ზარალი მოგვაყენა. თუ არ მოკრეფდი, ნაყოფი ცვივოდა, სასაქონლო ხარისხს კარგავდა. არადა, წინათ, დიდი მოსავლიანობის წლებში, მაშვრალი ხეზე გვიანობამდე ტოვებდა ნაყოფს, არ ჩქარობდა დაკრეფას, მაგრამ როგორც კი ნაყოფმა ცვენა დაიწყო, ერთი ცალიც არ დატოვა მოუკრეფავი. ეს, ერთის მხრივ, ცუდი არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა მოსავალი მოზღვავდა და ყველას ერთდროულად უნდოდა ჩაბარება, ეს ძალიან ვაძნელდა. წინააღმდეგობები დაძლეულ იქნა, მოსავალი დაგეგმილზე ორჯერ მეტია. საერთო-საკავშირო ფონდში გადაიტვირთა 122,3 ათასი ტონა ციტრუსი, დავალებაზე 17,3 ათასი ტონით მეტი, მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმებიც გადაჭარბებით შესრულდა. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მეურნეობებისა და დამზადების მეშვეობით შეთანხმებულ ფასებში გაიყიდა 107,8 ათასი ტონა ნაყოფი.

აქარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ სეზონში 94,9 ათასი ტონის ნაცვლად 206,3 ათასი ტონა ციტრუსი დაამზადა და მიწოდების გეგმებიც თითქმის ორმაგად შეასრულა. აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ 71 ათასი ტონის ნაცვლად 115,9 ათასი ტონა დაამზადა, მათ შორის საკავშირო ფონდში გადატვირთვის დავალებაც გადაჭარბებით გაანღლდა, მაგრამ მოსკოვისა და ლენინგრადის სრული დასაკმაყოფილებელი ვერ უზრუნველყო. მოსკოვს 14,5 ათასი ტონის ნაცვლად 13,5 ათასი ტონა ციტრუსი მიაწოდა, ლენინგრადს კი — 4 ათასის ნაცვლად — 3,5 ათასი ტონა, ხოლო საკონსერვო მრეწველობას დააკლო 1.900 ტონა ნედლეული. მეზარაძისა და ლანჩხუთის რაიონებმაც გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები, მაგრამ საკონსერვო ქარხნებს დააკლეს შესაბამისად 1500 და 2,4 ათასი ტონა ნედლეული. ეს იმიტომაც, რომ საკონსერვო ქარხნებში ჩასაბარებელი კილოგრამი ციტრუსის ფასი დაბალია, 40 კაპიკია. ეს კი ჩამბარებელს (კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს) ხელს არ აძლევს. თუმცა, როგორც ვთქვით, ᲨᲔᲚᲘᲜᲐᲜᲓᲘᲡ რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობამ სრულად მიიღო ციტრუსის დაგეგმილი მოცულობა.

— გამოდის, რომ საკონსერვო მრეწველობას შესაძლებლობა მიეცა მოგებით დაემთავრებინა გასული სამეურნეო წელი?

ᲗᲐᲜᲐᲯᲐ ᲧᲐᲤᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საკონსერვო მრეწველობის სამმართველოს უფროსი:

— ჩვენი სამმართველოს ფუნქციები რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს გადაეცათ, ამდენად დასმული კითხვაზე ზუსტი პასუხი შეიძლება აგროსამრეწველო გაერთიანებებიდან მიიღოთ. ვიცი მხოლოდ ის, რომ ნედლეულს გრაფიკის დაცვით არ აწვდიდნენ. პიკის დროს ქარხნებს უმოწყალოდ მიაყრიდნენ ხოლმე ნედლეულს, თანაც ხშირად ძალზე უხარისხოს. გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეები ვერ აუდიოდა ერთბაშად მოზღვავებული ნაყოფის დროულ გადამუშავებას. ქარხნის დირექტორები წუწუნებდნენ, ციტრუსები მაღფუჭადია, გვილაპარაკეთ, რა ვქნათ არ ვიცითო. ჯერჯერობით ძნელია იმის დაზუსტებით თქმა, თუ რამდენი ტონა ნედლეული გაფუჭდა ამის გამო და ზარალმაც რამდენი ათასი მანეთი შეადგინა. ეს არც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებებს ეცოდინებათ, სანამ ბალანსი არ დაიხურება.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲒᲘᲝᲠ�გᲝᲑᲘᲐᲜᲘ, პროდუქციის ხარისხის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სანიტარიული კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის (მთავარი სამმართველოს) უფროსი:

— მარნეულის № 1 საკონსერვო ქარხანაში ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის შემფუთავი ქარხნიდან 15 იანვარს რკინიგზის ვაგონით მიღებული 36,8 ტონა მანდარინი დადასამუშავებლად მთლიანად უვარგისი და დადასაყრელია. ასევე სრულიად უვარგისი იყო ბორის № 2 საკონსერვო ქარხნისათვის მახინჯაურის შემფუთავი ქარხნიდან გამოგზავნილი 67 ტონა მანდარინი. რიგი ერთი ფაქტი მოვიტანო, ბათუმის, მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის შემფუთავი ქარხნები და სხვები საკონსერვო მრეწველობას უგზავნიან ისეთ მოსავალს, რომლის 35-50 პროცენტი და კიდევ უფრო მეტიც გადასაყრელია.

— საკითხს თუ ხარისხის კუთხით მივუდგებით, როგორია ამ მხრივ საკავშირო ფონდში გაგზავნილი პროდუქცია?

— სახარბიელო მდგომარეობა არც იქ გვაქვს. ქ. მოსკოვის სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ერთიანი სახელმწიფო ინსპექციის ცნობით შარშან ნოემბერ-დეკემბრში გადატვირთული მანდარინის ზოგიერთ პარტიაში ნაყოფის რვიდან ორმოცდაათ პროცენტამდე ნაწილობრივ. ან მთლიანად დამპალი აღმოჩნდა. ამ მხრივ ყველაზე მეტი ანარჩენი — 15-დან 50 პროცენტამდე მოდის ლანჩხუთის რაიონის მამათის საბჭოთა მეურნეობის მიერ 31 დეკემბერს გაგზავნილ 76,8 ტონა მანდარინზე. ბათუმის შემფუთავ ქარხნიდან გაგზავნილი 112 ტონა ნაყოფის 36-38 პროცენტი, ხოლო მახარაძის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობიდან გაგზავნილი 102,2 ტონა მანდარინის 31-32,8 პროცენტი უვარგისი იყო.

ასეთი ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ეს იმის შედეგია, რომ საზოგადოებრივი მეურნეობების, დამზადების გაერთიანებების და შემფუთავი ქარხნების ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ, უნიათოდ და ზერელედ ასრულებენ მოვალეობას. ადგილებზე უხეშად ირღვევა საპუბლიკას 21 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 628 ვაგონის ნაცვლად რკინიგზელებმა 427 ვაგონი მიაწოდეს. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას 3-დან 11 დეკემბრამდე 1232 ვაგონის ნაცვლად — 916 ვაგონი, ხოლო 11 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე — 1516-ის ნაცვლად 957 ვაგონი. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ვაგონების მიუწოდებლობამ დამამზადებლებს ხელი შეუშალა მომხმარებელთათვის პროდუქციის დროულად გაგზავნაში. ეი იმიტომაც, რომ ამ მალფუჭადი პროდუქციის რაც შეიძლება მცირე ნაწილს დაეკარგა სასაქონლო სახე, დამამზადებელი ორგანიზაციები (საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები) იძულებული გახდნენ საკავშირო ფონდში გადასატვირთად გამზადებული ციტრუსოვანთა ნაყოფი მრეწველობისათვის გადასამუშავებლად ჩაებარებინათ. ამიტომაც იყო, რომ მარტო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დამზადებული 206.3 ათასი ტონა ციტრუსიდან 70 ათასი ტონის ნაცვლად საკონსერვო ქარხნებს ჩაბარდა 86 ათასი ტონა, თანაც კილოგრამი 40 კაპიკად, რამაც საგრძნობლად გააუარესა „აჭარსოფლდამზადების“ ფინანსური მდგომარეობა. ეს კი მას ხელს უშლის სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლაში.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვაგონების მოუწოდებლობასთან ერთად მათს ხშირ მოცდენებსაც ჰქონდა ადგილი. მიწოდებული ვაგონები ძალზე ხშირად დროულად არც იცლებოდა და არც იტვირთებოდა. უმიზეზო მოცდენის უამრავი ფაქტია აღნუსხული რკინიგზის სადგურების სპეციალურ ჟურნალებში,

როგორც ზემოთ ვთქვით, შარშან კერძო სექტორში 125 ათასი ტონის ნაცვლად 311,6 ათასი ტონა ციტრუსი დამზადდა. პიკის დროს (თუმცა როდის არ იყო პიკები) გრაფიკის დაცვით თითოეულ ოჯახს 3-დან 5-7 ტონამდე ციტრუსი უნდა ჩაებარებინა შემფუთავი ქარხნებისთვის. ბევრი ისეთი ოჯახი, რომელიც 15-20 ტონა და კიდევ უფრო მეტ ამ ძვირფას პროდუქტს აწარმოებდა, ხოლო დამამზადებლებს თითქმის მთელი თვის მანძილზეც ვერ აბარებდა თავის ოჯახში სიმწრით მოწეულ მოსავალს და ნაწილობრივ მაინც უფუჭდებოდა. მაგრამ ვინ იყო გამკითხავი. მიწის მუშის ბედით არავინ დაინტერესებულა, თორემ საერთო საქმე ვითომ ძალიან იზარალებდა, რომ ძირითადი გეგმის შესრულების შემდეგ მაინც მიეცათ მისთვის ნაყოფის თუნდაც რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაყიდვის უფლება? სად არის ეს ლოგიკა, როცა ხმამაღლა გავიძახით — გლეხი მწის ბატონ-პატრონიაო. თუ ჩემიგე ნაოფლარით ვერ ვისარგებლებ, რაღა ბატონ-პატრონი ვარ? ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ მეციტრუსეებს დღემდე შემორჩა საკარმიდამო ნაკვეთებში მოწეული ტონობით ციტრუსი. ახლა მაინც ნუღარ დავუშვათ, სადაც და როგორც უნდა ისე გაყიდოს იგი, იქნებ ნაწილობრივ მაინც მოიხსნას დეფიციტი და გაიაფდეს ციტრუსის ნაყოფი ბაზრებში? ნამდვილ გლეხს, რომელიც ოფლს ღვრის და დღედაღამ მიწას ებრძვის, აკრძალვებით არ უნდა ვბოჭავდეთ, სპეკულანტებს კი, რომლებიც სხვისი ნაოფლარით ჯიბეს ისქელებენ და რესპუბლიკის პრესტიჟსაც ლახავენ, კვლავაც დაუნდობლად უნდა ვებრძოლეთ...

თბილისის მაღაზიებსა და ბუჩებში გვიან შემოდგომაზე და დეკემბერში, როგორც ვთქვეთ, იყიდებოდა უხეირო, მწკანე და მცირე ზომის ციტრუსის ნაყოფი. მომხმარებელი გულდაწყვეტილი იძენდა მას. ზოგი, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, ბაზარს მიაშურებდა, ჩუმად, სადღაც კუთხეში მიკუნჭნულ მეციტრუსეს მოძებნდა და კარგ ბავშვების გასაბარ საღ მანდარინს, ლიმონს თუ ფორთოხალს ძვირად, მაგრამ მაინც იყიდდა. ახლა კი მაღაზიებში იმ უხარისხო ციტრუსსაც ნაკლებად შეხვდებთ, ხოლო ბაზრებში რამდენიც გნებავთ, როგორი ხარისხისა, ინებეთ, იყიდეთ, თუ სამყოფი ფული გაქვთ ჯიბეში.

და მით უფრო საინტერესოა რას აკეთებს თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტი და მისი 9 ექსპერიმენტული მაღაზია, რომლებსაც მოსახლეობისაგან ყველა სახეობის ნამეტი პროდუქტის შესყიდვის უფლება აქვს, სინამდვილეში კი მათი ვიტრინები დაცარიელებულია? უფიქრიათ კი მათს მესვეურებს ამაზე, გაუგზავნიათ თავიანთი წარმომადგენლები მეციტრუსეობის რაიონებში ნაყოფის შესასყიდად? ალბათ, არა, თორემ ასეთი ღარიბი არ იქნებოდა მაღაზიათა დახლები.. როგორც ჩანს, ეს მწკვავე და მტკივნეული საკითხი მათ არ ადარდებთ. ამაში მაშინ დავრწმუნდით, როცა თბილხლბოსტანეკონტრაქტორის დირექტორის მოადგილეს ჭაბუკ თუშიშვილს ვესაუბრეთ. მან გვითხრა, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტი ამის უფლებას არ იძლევაო. მაგრამ ოოგა ვთხოვეთ, ოფიციალურად დაეწერა ეს რედაქციის სახელზე, თავი შეიკავა. არ ვიცი, ამაზე სწორ პასუხს თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელობა გაგცემთო, გვითხრა (!).

როგორც ავღნიშნეთ, თბილისის მოსახლეობის ციტრუსებით მომარაგება საკალაოა, (თუმცა არც რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშია უკეთესი მდგომარეობა). ქალაქის საკაჭრო ქსელსა და საბითუმო ბაზებში კვლავ იზრდება უხარისხო პროდუქციის ნაშთი, რომლის რეალიზაცია შეუძლებელია. ნავთლუღის საბითუმო-საკაჭრო დამფასოებელ ბაზაში შეზიდული 321 ტონა ციტრუსის ნაყოფიდან 60 პროცენტი სარეალიზაციოდ არ გამოდგება. ამის თაობაზე ამსჯელა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის ხელმძღვანელობამ და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებით ადამიანებს ვერ გამოკვებავთ.

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲜᲝᲓᲘᲐ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ ამა წლის 29 იანვარს 83 წლისა გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-მაიორი

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲝᲠᲘᲒᲘᲡᲔᲑᲘᲡ შესაბამისად მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური ვიზიტი დიდ ბრიტანეთში, რომელიც იქმედ 1988 წლის დეკემბერში იყო დაგეგმილი, გაიმართება ამა წლის აპრილის პირველ დეკადაში.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲙᲘᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲓᲐᲜ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲤᲘᲪᲘ ᲓᲐᲓᲝ

● ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტროში ორშაბათს გაიმართა ამ უწყების ახალი ხელმძღვანელის ელიზაბეტ დოლის ფიცის დადების ოფიციალური ცერემონია.

ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ბიზნესმენის 52 წლის ქალიშვილი უკვე დიდიხანია შედის კამინტერნის ელიტის ციწრო წრეში. მთავრობის სამსახურში იგი ჩადგა ჯერ კიდევ ჯონსონის ადმინისტრაციის დროს, ეკავა მფელი რიგი მაღალი თანამდებობანი, კერძოდ, იყო ტრანსპორტის მინისტრი რეიგანის მთავრობაში. მისი ქმარია ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, სენატში რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერი რობერტ დოული, რომელიც შარშან იყო ჯორჯ ბუშის მთავარი მეტოქე რესპუბლიკური პარტიისაგან პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებისათვის ბრძოლაში.

ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲒᲐᲐᲑᲠᲫᲔᲚᲘᲡ

● ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ლიბანის მთავრობის თხოვნით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის რეკომენდაციით უშიშროების საბჭომ კიდევ ექვსი თვით — 31 ივლისამდე — გაახანგრძლივა ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების მანდატი.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მან დაადასტურა, რომ მტკიცედ უჭერს მხარს ლიბანის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას მის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲠᲔᲙᲠᲔᲘᲨᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐ

● ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲐᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲔᲠᲔᲤᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲐᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 27 (20368) — ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ — ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ.

ეროვნულ რეფერატი

საინფორმაციო ფურცელი

წყალი სათავიდან იმღვრევა

დღეს ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღება არა მარტო ერთი რომელიმე რეგიონის, არამედ საერთაშორისო მასშტაბის ერთიანი უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახდა. ამ საკითხით დიდად არის დაინტერესებული ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობაც, ეკოლოგიის პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, მაგრამ როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, გარემოს, ბუნების დაცვა, საერთოდ ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღება არ გამხდარა რესპუბლიკის რიგი საწარმოებისა თუ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ყოველდღიური საზრუნავი, პირიქით ხშირად ისინი შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას, გულგრილობასა და დაუდევრობასაც იჩენენ.

ეს პირველ რიგში ითქმის საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, საბინაო-კომუნალური და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, „ცეკავშირის“, აგრეთვე სხვა უწყებების ზოგიერთ იმ საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებზე, რომლებიც მცხეთისა და დუშეთის რაიონებშია განლაგებული, როგორც შემოწმებამ ცხადყო, მათ სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ ბუნების დაცვის გაძლიერებაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებიდან. ამ რეგიონში არსებული საწარმოებისა და ორგანიზაციების უმრავლესობას არ გააჩნია გამწმენდი ნაგებობები, ხოლო არსებული კი ან ძალზე უეფექტოდ მუშაობს, ან საერთოდ უმოქმედოდაა. ამის შედეგად მდინარე არაგვსა და მის შენაკადებში ჩაედინება გაუწმენდავი წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობა. ზოგჯერ დაბინძურებული წყალი მდინარეს უერთდება არაგვის ხეობაში მდებარე თბილისის წყალსადენის სათავო ნაგებობათა სანფილტრაციო აუზებთან უშუალო სიახლოვეს, რაც წყალსადენის ზონაში ძალზე არადამაკმაყოფილებელ სანიტარიულ მდგომარეობას ქმნის.

მდინარე არაგვის დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ენერგო-ობილოსის თავავი გადამყვანი საკანალიზაციო კოლექტორია, რომელიც განკუთვნილია მცხეთისა და დუშეთის რაიონებიდან, ბის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ობიექტებისთვის, ამ საკანალიზაციო სისტემის ხელმძღვანელობა მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის დირექტორს ლ. ოქროპირიძეს ეკისრება. მაგრამ მან არა თუ მოაწესრიგა კოლექტორის მუშაობა, არამედ მისი ზოგიერთი ნაგებობის დაცვაც კი ვერ უზრუნველყო. სწორედ მისი უპასუხისმგებლობის გამო ძალზე არადამაკმაყოფილებელია სოფელ წიწამურში სატუმბო სადგურის ტექნიკური მდგომარეობა. ის მთლიანად დაშლილი და გაძარცვული, რითაც სახელმწიფომ 50 ათას მანეთამდე იზარალა.

საკანალიზაციო კოლექტორის დაბალი ტექნიკური დონე, აგრეთვე აქ დაშვებული უპასუხისმგებლობა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მხრიდან დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაობისადმი სუსტი კონტროლის შედეგია.

გარემოს დაბინძურების აღკვეთის თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებათა შესასრულებლად საჭირო ზომები არ მიიღეს „ცეკავშირის“ გამგეობამ, მცხეთის სასურსათო კომბინატის დირექტორმა გ. ლევანიშვილმა. ამ საწარმოდან დღე-ღამეში 50 ათასი ლიტრი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლები ყოველგვარი გაწმენდისა და გაუვნებლობის გარეშე ჩაედინება მდინარე არაგვში. როგორც ანალიზებმა ცხადყვეს, ეს წყლები ბაქტერიოლოგიურად დაბინძურებულია და 20-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმებს. როგორც ჩანს, გარემოს დაცვის პრობლემა არც სახაგრომრეწვის მცხეთის ღვინის ქარხნის დირექტორს ზ. კახიძესა და მცხეთის რაიკავშირის პურის ქარხნის მთავარ ინჟინერს შ. მამულაშვილს აწუხებს. ყოველდღიურად ღვინის, პურის ქარხნებიდან დიდძალი დაბინძურებული წყალი ჩადის მდინარე ნარეკვავში. იმის გამო, რომ მცხეთის რაიკავშირის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გაერთიანების დირექტორი ნ. ცაბაშვილი არ ღებულობს ზომებს რესტორან „ნატახტარის“ დაზიანებული გამწმენდი ნაგებობების აღსადგენად, მდინარე ნარეკვავში გაუწმენდ-გაუუვნებლად ჩადის 30 ათასი ლიტრი სამეურნეო-საყოფაცხოვრები წყლები, რომლებიც ორგანულ ნარჩენებსაც შეიცავენ და დასაშვებ ნორმაზე გაცილებით დიდად არის დაბინძურებული.

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქსახაგრომრეწვმა არ შეასრულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 13 იანვრის მოთხოვნა ნატახტარის მებოსტნეობის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ფერმის გადატანის თაობაზე.

თუმც შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ბინძურებენ მდინარე არაგვს საქართველოს ბრმათა საზოგადოების მცხეთის სასწავლო-საწარმოო დაწესებულება (დირექტორი. ჯ. შალიკაშვილი), „ავტოტექმომსახურების“ გაერთიანების № 6 ტექმომსახურების სადგური (დირექტორი ო. მოძღვრიშვილი), საქსახაგრომრეწვის საწარმოო კომბინატი (დირექტორი ს. დემურიშვილი).

თბილისის წყალსადენის წყალსაღებს დაბინძურების საფრთხეს უქმნის აგრეთვე დუშეთის რაიონის ზოგიერთი საწარმო, ორგანიზაცია თუ დაწესებულება.

შემოწმებითი გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის კომბინატის უფროსს ლ. ოქროპირიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და მისი არასწორი ქმედების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალი ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დაეკისრა 3 თვის თანამდებობრივი განაკვეთის შესაბამისი ფულად დარიცხვა.

სასტიკი საყვედური გამოეცხადათ მცხეთის რაიკავშირის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გაერთიანების უფროსს ნ. ცაბაშვილს, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ნატახტარის მებოსტნეობის საცდელი საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ვ. ბუჯიაშვილს, მცხეთის ღვინის ქარხნის დირექტორს ზ. კახიძეს, მცხეთის რაიკავშირის პურის ქარხნის მთავარ ინჟინერს შ. მამულაშვილს,

მცხეთისა და დუშეთის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტებს განსახილველად გადაეცათ სხვა შემოწმებული საწარმოო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი.

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲨᲔᲜᲔᲓᲔᲑᲐ ᲮᲘᲓᲘ

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ძალმოკრებილმა მთის მდინარემ — ჭორომმა მახოს ძველ ხიდს ბურჯები მოუშალა და მალება ჩაუნგრია, რამდენიმე სოფელი მოწყვიტა რაიონულ ცენტრს, რომელსაც მათი მცხოვრებლები ახლა გონიოს მხრიდან, 15-20 კილომეტრის შემოვლით თუ უკავშირდებიან.

მოშლილის სანაცვლო ახალი ხიდის მშენებლობას უმალვე შეუდგნენ. იგი დაეკალა ტრესტ „ხიდმშენის“ № 39 რაზმის სამშენებლო უბანს. ეს იქნება საქართველოში ერთ-ერთი უგრძესი — 466-მეტრიანი ხიდი. დიდი მოცულობის სამუშაოები უკვე შესრულებულია. დამონტაჟდა ხიდის ბურჯები. აწყობენ მალებს. საქმე თანდათან წინ მიიწევს.

ახალი ხიდი წლის ბოლოს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

▼▼

ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲡᲐᲥᲐᲤᲐᲜᲓᲠᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ საკანალიზაციო სამსახურების გასასვლელ კოლექტორებსა და არხებში მუშაობისათვის მოხერხებული და ჰერმეტულია საკავშირო პროფსაბჭოს ქალაქ თბილისის შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემუშავებული ინდივიდუალური კოსტუმი. იგი ადამიანთა ჯანმრთელობას დაიცავს მავნე გაზებით მოწამვლის საშიშროებისაგან საკანალიზაციო ლუკებსა და კოლექტორებში მუშაობისას. კოსტუმი აღჭურვილია სიცოცხლის უზრუნველყოფის სიმედო სისტემით, რომელიც როგორც ჩვეულებრივ, აგრეთვე ავტონომიური რეჟიმით მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.

ᲕᲘᲗᲐᲠᲗᲘ ᲡᲘᲙᲕᲗᲘᲗ

დიდი ზნეობისა და კეთილშობილი სულის ადამიანები გაერთიანდნენ საქართველოს გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის რესპუბლიკურ ფონდში — საკავშირო ფონდის ფილიალში, რომლის დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართა რუსთაველის სახელობის თეატრში. ფონდი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ჰუმანიზმის, გულმოწყალებისა და უანგარო ურთიერთდახმარების იდეალების საზოგადოებაში დამკვიდრებას, დეხმაროს გაჭირვებულთ, ინვალიდებს, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, მარტოხელა ხანდაზმულ და შრომისუუნარო მოქალაქეებს.

დამფუძნებელი კონფერენციის მუშაობას უძღვებოდა მისი საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე.

მოხსენება გააკეთა ფონდის საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა თ. თოფურიამ.

კონფერენციაზე გამოსულმა ორატორებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში ცნებები „გულმოწყალება“, „თანაგრძნობა“, „ქველმოქმედება“ ნამდვილად შეეხსაბამება თავის აზრსა და დანიშნულებას. ზრუნვა იმათთვის, ვისაც ეს სჭირდება, ახლა მარტო სახელმწიფო საქმე როდია. დღეს ყველა საბჭოთა ადამიანმა შეიგნო, რომ პასუხს აგებს თავისი თანამოქალაქეებისათვის. მზად არის დაეხმაროს უბედურებაში მყოფთ. არა მარტო მედიკოსები და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა თანამშრომლები, არამედ საზოგადოებრიობის ყველაზე ფართო წრეები აქტიურად მონაწილეობენ ხანდაზმულთა და ინვალიდთა, მძიმე ავადმყოფთა და მარტოხელათა ჯანმრთელობის დაცვაში. შეიქმნა ასევე ფონდი, რომელშიც ადამიანები რიცხავენ ფულად სახსრებს.

დამფუძნებელი კონფერენციის ბოლოს დაფუძნდა საქართველოს გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის რესპუბლიკური ფონდის დებულება. „ამ შინაარსი მიმართავ რესპუბლიკის მშრომელებისადმი, რომელშიც მოუწოდებს თავიანთი წვლილი შეიტანონ გულმოწყალების უყლაბაში. აქტიური მონაწილეობა მიიღონ უბედურებაში მყოფი ადამიანების, იმათი სამედიცინო და სოციალური დახმარების გაუმჯობესებაში, ვინც ბედმა დაჩაგრა, ვინც ახლობლებისა და ნათესავების გარეშე დარჩა.

დამფუძნებელმა კონფერენციამ აირჩია საქართველოს გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის რესპუბლიკური ფონდის ხელმძღვანელი ორგანოები. ფონდის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ხ. ხეჩინაშვილი, მის პირველ მოადგილედ — თ. თოფურია.

დამფუძნებელი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე, გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის საკავშირო ფონდის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. კონოვალოვი. (საქინფორმი).

ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ

რესპუბლიკაში შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტოქმეორეულგადამუშავება“.

როგორც მისმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგოლაძემ გვაცნობა, ახალი გაერთიანება იმ მიზნით შეიქმნა, რომ განხორციელდეს ერთიანი საორგანიზაციო და სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა, აგრეთვე საერთო კოორდინაცია გაეწიოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სამეურნეო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენების უტილიზაციის, გაუვნებლებისა და დამარხვისათვის. გაერთიანება ძალზე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკაში უკოლოგიური ვითარების გაუმჯობესებაში, ხელს შეუწყობს ტოქსიკური ნარჩენების გადამუშავებისა და გაუვნებლების ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნასა და სახალხო მეურნეობაში დანერგვას. გაერთიანების შექმნა ძალზე დროული და საჭიროა. დღისათვის რესპუბლიკაში არსებული მრეწველობის ნარჩენების გადამუშავების, შენახვისა და უტილიზაციის მეთოდები სულაც არ აკმაყოფილებს მეცნიერების მოთხოვნებს.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება მონაწილეობას მიიღებს საწარმოო პროცესებში ტოქსიკური ნარჩენების შემცირების ან სრული ლიკვიდაციისათვის გამიზნული სამეცნიერო-ტექნიკური პროგნოზების, გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში.

(საქინფორმი).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

დადგა დრო, სამართლიანობა აღვადგინოთ ცალკეული ადამიანების მიმართაც და მთელი ერების მიმართაც, რომლებმაც სტალინიზმის მთელი სისასტიკე განიცადეს. მათ შორისაა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რაიონების, იმ ტერიტორიის მოსახლეობაც, რომელსაც ოდითგანვე მესხეთი ეწოდება.

ჯერ კიდევ 1956 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა მთელი რიგი შეზღუდვები, მაგრამ შემორჩა ერთი, ფრიად არსებითი გამონაკლისი: მესხებს უფლება არა აქვთ დაუბრუნდნენ იმ ადგილებს, საიდანაც გაასახლეს. შემდგომში ეს შეზღუდვაც გაუქმდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, პრობლემის შექმნა იოლია, აი, მისი პრაქტიკული გადაწყვეტა კი ზოგჯერ წლებსა და ათწლეულებს მოითხოვს.

სამი მძიმე ჭრილობა მიიღო ფრონტზე ქვეითთა ოცეულის მეტყვეამფრქვევემ ჩახო ჩიტაძემ. მეოთხე ჭრილობა, რომელიც დღემდე არ მოშუშებია, უკვე ახალციხის რაიონის მშობლიურ სოფელში — ვალეში მიაყენეს ომიდან დაბრუნების სამი თვის შემდეგ. რა იცოდა მაშინ ჩახომ, რომ 1944 წლის იმ ნოემბრის ღამეს შინსახკომის ქვედანაყოფებმა ალყა შემოარტყეს არა მარტო მის სოფელს, არამედ მეხსეთის 220 დასახლებულ პუნქტს, და იმ ბელადის ბრძანებით, რომლის სახელიც პირზე ეკერა ომში, კერიები ჩაუქრეს, სამშობლო და ჭერი წაართვეს ასი ათასზე მეტ „მაჰმადიანს“.

ჩახო თან მამას — ძველ ბოლშევიკსა და რეგიონუციონერს, ეხმარებოდა სატვირთო ვაგონში აბობლებში და თან ბადრაგის ერთ-ერთი, თავისნაირ ყმაწვილ ჯარისკაცს გულისმომკვლელად ეკითხებოდე: „რისთვის“?

გათოშილები, მშივრები ორ თვეს მიდიოდნენ შუა აზიაში, სპეცდასახლებაში. მაშა გზაში გარდაეცვალა. მაშინ ბევრნი დაასაფლავეს გზაში, ტრიალ მინდორში.

ხალხი, რომელიც თავს ახლაც ორმოცდა ხუთი წლის შემდეგ, თავს მესხებს უწოდებს, სამხრეთ ყაზახეთსა და შუა აზიის ჩრდილოეთში, ყაბარდო-ბალყარეთსა და აზერბაიჯანში გაფანტეს... თითქმის ათი წლის მანძილზე იძულებული იყენენ დამამცირებელი ძოგალეობა მოეხდათ: თვეში ორჯერ გამოცხადებულიყვნენ სპეკომენდატურებში, თავი დამნაშავედ ეგრძნოთ, რატომ? არავინ იცოდა. ჯარისკაცების ქერეებმ, შვილები, შმობლები, და თვითონაც — სამშობლოს გუშინდელი დამცველები მანიკური ბოდვის მსხვერპლნი გახდნენ — ესაოდა, როგორც კი თურქეთი ჩაებმება ომში, მის მხარეზე გადავლენ! თავნებობის მოთავენი ერთბაშად, ყოველი შემთხვევისათვის „მოღალატეებად“ ნათლავდნენ მთელ ხალხებს.

— ჩვენ გვწამდა, რომ ოდესმე დაუბრუნდებოდით შშობლიურ საქართველოს! ყველაზე მძიმე დროსაც კი გვწამდა და ვემზადებოდით ამისთვის, — გვეუბნება ჩახო.

მან სწორედ ომის წინ დაამთავრა პედაგოგიური სასწავლებელი, და სამარყანდის ოლქში, თაკისი ადმინისტრაციული გადასახლების ადგილს, დაადგინა მოთა რუსთაველის სახელობის სკოლა, ქართულს ასწავლიდა მესხ ბავშვებს.

ჩახო ჩიტაძეს მის ხალვათ სახლში შევხვდით წულუკიძის რაიონის სოფელ ახალშენში. კიდევ 45 ასეთივე ორსართულიანი სახლი, ეზოს ნაგებობანი და ნაკვეთები გამოყვეს აქ ადგილობრივმა ხელისუფლებმა მესხებისათვის, რომელიც რესპუბლიკაში ბრუნდებიან.

— ძმებსავით დაგვხვდნენ, ეს მშვენიერი სახლები დაგვახვედრეს, სამუშაო მოგვცეს, — მადლიერებთან ამბობს ჩახო. — თითქოს მეტი რა გვინდა — იცხოვრე და იხარე! მაგრამ, იცით, გული ესხეთისაკენ მიგვიწევს — ჩვენი ფესვები ხომ იქ არის..

...ნისლმოხვეული დათოვლილი მთები, შქუხარე მტკვარი, კანიონები, ხეობები — ასეთად წარმოგვიდგა თვალწინ მესხეთი. როგორც კი ფეხს დადგამ აქ, იმ წუთში იგრძნობ — არ ჰყოფნით ხაყოფიერი სახნავები. ეს ეკონომიკური გარემოება დრამატულ სოციალურ და ზნეობრივ კოლოზიებს ჰქმნის.

იმ ომიანობის წელს, ძალით გასახლების წინ მესხეთში 169,7 ათასი კაცი ცხოვრობდა. მათ ადგილას ასევე ძალით ჩამორეკეს გლეხკაცობა საქართველოს მცირემიწიანი და მიუდგომელი მთის რაიონებიდან. ომისშემდგომ წლებში აქ, ცხადია, მოსახლეობამ იმატა — მესხეთის ხუთ რაიონში უკვე 191 ათასი კაცი ცხოვრობს, ყოველ მათგანზე 0,13 ჰექტარი სახნავი ძლივს მოდის. სწორედ ეს ჰქმნის ძნელად გადასაწყვეტ პრობლემას. სად დასახლდეს, რა ქამოს, სად იმუშაოს ათიათასობით მესხმა, რომლებსაც მამაპაპეულ სამშობლოში დაბრუნება სწყურიათ? მათი უმრავლესობა ხომ გლეხკაცობაა.

დღეს კი, საქართველოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, მესხეთის მარტო ორი — ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონიდან, ომის გამო, რომ სამუშაო არა აქვთ, რესპუბლიკის გარეთ საშვაერზე მიდის ხუთი ათასზე მეტი კაცი.

არ დაგიმალავთ, მართალია იშვიათად, მაგრამ ყური მოგვიკავს სრულიად მიუღებელი და გაუმართლებელი სიტყვებისათვის: წავიდნენო ჩვენს ადგილას დასახლებულები. იმ მესხთა უმრავლესობა, ვისთანაც ჩვენ გვისაუბრია, აღშფოთებით უარყოფს ასეთ პოზიციას. განა აძეკამდე მესხეთში მეხოვრებთ რაიმე ბრალი მიუძღვით? ჩამოსახლებულთა სულ ცოტა ორი თაობისათვის აქაური მიწა-წყალი ასევე სამშობლოა! რად გვინდა რამე, თუ სხვათა უბედურების ხარჯზე მივიღებთო.

სიბრძნეს, მორსმჭვრეტელობას, ტაქტსა და კეთილ ნებას მოითხოვს პარტიული კომიტეტებისაგან, საქართველოს ადგილობრივი საბჭოებისაგან მესხთა პრობლემის გადაწყვეტა. ხალხი, რომლის მიმართაც თავნებობა გამოიჩინეს, პოლიტიკურად და მორალურად რეაბილიტირებული უნდა იყოს! ეს აშკარაა. ამასთანავე, რაღა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ, რომ აქ მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობა, ცხოვრების პირობები გაუარესდეს. რესპუბლიკის ხელისუფლებმა აწონ-დაწონილად და პასუხისმგებლურად უნდა განსაზღვრონ, მესხთა რამდენ ოჯახს უზრუნველყოფენ საცხოვრებლით, სამუშაოთი უმუალოდ მესხეთის რაიონებში ახლა, უახლოეს და შორეულ მომავალში. ყოველივე ეს, ცხადია, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალ საწარმოთა შექმნას მოითხოვს...

უნდა ითქვას, დღეს ბევრი რამ კეთდება საიმისოდ, რომ მესხებს კეთილად, პატივისცემით დახვდნენ სხვა რაიონებში, სადაც არის ჯეროვანი ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობანი. ამ ცოტა ხნის წინათ განისაზღვრა ოცი ასეთი რაიონი. სულ ახლახანს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სახაგრომრეწვმა და შრომის სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესთავაზეს, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კიდევ ოც რაიონში სამუდამოდ დასასახლონ მესხები.

როგორ მოეწყვნენ ოჯახები? პრაქტიკულად ჩვენ მოვიარეთ ყველა სოფელი, სადაც მესხები ჩასახლდნენ. არავინ არ უჩივის საყოფაცხოვრებო პირობებს, უმუშევრობას. ადგილობრივ მცხოვრებლებთან კარგი, მართლაც რომ, ძმური ურთიერთობა აქვთ. ნასაყირელმა მესხმა კ. სულეიმანოვმა გვიამბო, ასპირანტურაში შესვლის დროს როგორ კონკურენტობდა ადგილობრივ ისტორიკოსს იოსებ ნაკაიძეს. ორივემ ხუთვეზზე ჩაიბარა გამოცდები, ელოდნენ, ვის მისცემდა უპირატესობას კომისია. იოსებს თავისი საბუთები გამოუტანია და უთქვამს: —

— იცი რა, ძამია, შენ ისწავლე, მე გაისად ვცდი..

საქართველოში მიღებულია დებულება, რომლის თანახმადაც მესხ ბავშვებს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში უკონკურსოდ, შეღავათიანი პირობებით იღებენ.

— ბარშან შემოდგომაზე პარტიის რაიკომში მიგვიწვიეს და გვითხრეს: აი ცხრა მიმართვა უმაღლეს სასწავლებლებში თქვენი შვილებისათვის. ჩვენს სოფელში კი სულ 4 კაცი აღმოჩნდა, რომლებსაც სწავლის გაგრძელება სურდათ, — გვითხრა ცხრამუხლმა (ხაშურის რაიონი) ბაჰატირ მატონოვმა.

მატონოვების ოჯახი ამ ოთხი წლის წინათ დაბრუნდა საქართველოში. ბაჰატირი ინჟინრად მუშაობს საკისარ-სარემონტო ქარხანაში, პატრიის რაიკომის წევრია, ორივე ქალიშვილი მუსიკას ასწავლის. ცოლი მასწავლებელია და ახლახანს გავიდა პენსიაზე.

მატონოვებს ვკითხეთ: სურთ თუ არა მესხეთში გადასახლება?

— არა, — ვეკითხა, ვეკითხა, მაგრამ ერთ-ერთ უკვე გაკეთებული ჩანაწერი ეროვნების შესახებ შემდგომში არ შეიძლება შეიცვალოს.

სრულიად ნათელია, რომ ასეთი ფორმულირება სამართალსაწინააღმდეგოა. იქნებ ხალხის ცხოვრების მომწამვლელი, მოძველებული ცირკულარების გაუქმებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის გზაზე?

ეროვნულ პრობლემებს შორის, რომლებიც დროთა განმავლობაში გროვდებოდა, მძაფრდებოდა და ვერ წყდებოდა, არის მესხთა პრობლემაც, რომლებიც ძალით აყარეს შშობლიური მიწა-წყლიდან. ახლა ისინი ნდობითა და იმედით ელიან სამართლიანობის აღდგენს.

ბ. რეზნიკი,
ტ. ჭანტურია,
„იზვესტიის“ სპეც. კორ.
„იზვესტია“, 1989 წ. 30 I.

ᲛᲝᲓᲘᲗ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ, ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲓ ᲕᲣᲛᲐᲡᲠᲘᲜᲔᲑᲚᲝᲗ

მესხთა ძველი და ახალი პრობლემები

ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ — ᲘᲪᲚᲔᲑᲐ, ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ — ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ

თუ ვისმე მეცხოველეობის გავითარების, ხორცის და რძის პროდუქტების სიუხვის ხელსაყრელი პირობები გააჩნია, ეს პირველ რიგში შეიძლება ითქვას ჯავის რაიონის როკის საბჭოთა მეურნეობაზე. 8400 ჰექტარი სათიბი და 2-3-ჯერ მეტი ფართობის საძოვარი საზოგადოებრივ მეურნეობასაც და მის ტერიტორიაზე მცხოვრებლებსაც საშუალებას აძლევს იყოლიონ ბევრი მსხვილფეხა რქოსანი და სხვა პირუტყვი.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვეს ეხსრაფი, მაშინ ამისათვის ყველა რეზერვები უნდა აამოქმედო. რეზერვები კი ამ მეურნეობაში ბევრზე ბევრია, თუ კი მას მიაგნებ და გონივრულად გამოიყენებ. როგორც უკვე ვთქვით, მეურნეობას უზარმაზარი საკვები ბაზა აქვს, რომელიც ორ-სამჯერ უფრო დიდ უკუგებას მისცემს. თუ კი მას საფუძვლიანად ათვისებენ. ათვისებას კი, ბუნებრივია მუშა-ხელი, სათანადო მანქანა-იარაღები სჭირდება.

სწორედ ადამიანის გამრჯე ხელი სჭირდება აქაურ მიწა-წყალს, მაგრამ ამ ადამიანსაც ხომ სჭირდება ყურადღება და დახმარება, სათანადო, თანადროული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მაგრამ ამა რა ზრუნვა-დახმარებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებს შორის გზაც კი არ არის, კულტურულ-სოციალურ პრობლემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მეურნეობის 11 სოფლიდან სადღეისოდ არც ერთში არ არის არც რადიო და არც ტელევიზორი, ტელეფონი.

ამიტომაც არის, რომ უკანასკნელ ორწელიწადნახევარში მეურნეობის ტერიტორიაზე 18-ით შემცირდა კომლთა რაოდენობა, მოსახლეობის რიცხვი კი 30 პროცენტით. ამის შემდეგ ალბათ, გასაკვირი აღარ იქნება, რომ კერძო სექტორში 1114 სულით შემცირდა პირუტყვის სულადობა.

ვფიქრობთ, რადგან ვერ ასრულებს პირუტყვი სულადობის ვალებს, ვერ ამზადებს ხის გამოკვებისათვის საჭირო რაოდენობის საკვებს, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა თავს იკავებს მოზარდეულთა და საკვებით მოსახლეობის უზრუნველყოფისაგან, ეს კი, ბუნებრივია, აფერებს საკარმიდამო მეურნეობებში პირუტყვის მოშრავლებას.

მოსახლეობა იძულებულია თვითონ მოაგვაროს პირუტყვის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ კერძო სექტორში ხორცის წარმოების ზრდის საკითხები არავის აქვს უშუალოდ მინდობილი არც მეურნეობაში და არც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში.

არც იმის უთქმელობა შეიძლება, რომ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოებში პირუტყვის წლიური აღწერის შემდეგ თავს აღარ იწუხებენ წლის განმავლობაში შერჩევით შეამოწმონ შემცირდა თუ მომრავლდა კერძო პირუტყვი, რაც ასევე, ძალზე ართულებს ამ პრობლემის მართვას.

სამწუხაროდ, ისევე როგორც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილებაც ნაკლებად ინტერესდება პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების პრობლემებით, და, რასაკვირველია, ბევრსაც ვერაფერს აკეთებენ ხორცის წარმოების გადიდების შესახებ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნასთან შესასრულებლად.

იმის გამო, რომ როკის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ა. გაბარაევი ახალდანიშნული დირექტორია, ამიტომაც ჯავის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს, რომელმაც ეს შემოწმება მოაწყო, იგი არ დაუსჯია, თუმცა მიღებულ დადგენილებაში მასაც და მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს ვ. თედეეფსაც დაევალათ იმ ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც მოკლე ვადებში უზრუნველყოფს არსებული მდგომარეობის რადიკალურ გარდატეხას.

როგორც აგრომრეწვის რაიონული გაერთიანების და როკის საბჭოთა მეურნეობის, ისე ვანლის, როკისა და ედისის სასოფლო საბჭოს სახალხო კონტროლის ჯგუფებმა თავი უნდა დააღწიონ ძილს, მიხედონ იმ დიდ საქმეს, რომელსაც მოსახლეობის სახურსათო უზრუნველყოფა ჰქვია და რაც სწორედ სახალხო კონტროლის ორგანოების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულად არის მიჩნეული.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲝᲑᲐᲠᲝ ᲙᲣᲗᲮᲔ

შეკითხვა: აქვს თუ არა საწარმოს, დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება დაავალოს მისი ორგანიზაციის სახალხო კონტროლის კომიტეტს, ჯგუფს ადმინისტრაციის სახელზე შესული მშრომელთა განცხადების, საჩივრის შესწავლა?

პასუხი: არა, არა აქვს. სახალხო კონტროლის კომიტეტი, ჯგუფი განიხილავს მხოლოდ მის სახელზე შესულ მშრომელთა წერილებს (განცხადებებს, საჩივრებს). ამასთან იგი ახორციელებს მუდმივ კონტროლს ამ საწარმოში, დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში, აგრეთვე მათ ცალკეულ ქვედანაყოფებში და სამსახურებში მშრომელთა წერილების მიღებისა და განხილვის ორგანიზაციის მდგომარეობაზე. მათ განსახილველად შეიძლება გადაეგზავნოს მხოლოდ ის განცხადება, საჩივარი, რომელთა გადაწყვეტა სახალხო კონტროლის ორგანოების ჩარევას საჭიროებს.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ

**თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელმა“ ხუთწლედის შ

ᲣᲙᲜᲝᲕᲘᲗᲘ

საკდესი ᲘᲣᲜᲘᲢᲔᲑᲘ

31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲖᲔ

ᲡᲙᲘᲗᲘᲡᲝᲚᲔᲒᲐ

ᲑᲘᲡᲘ ხელოვნება და პიროვნეᲑᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲐ! ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲠᲫᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲣᲖᲕᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲠᲒᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ... ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲛᲐᲒᲠᲐᲣᲠᲘᲐ ᲡᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ, ᲓᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ — ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ, ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲐᲨᲘ, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲨᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ... ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲛᲘᲠᲒᲖᲐᲣᲠᲘᲐ ᲡᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ. ᲜᲣᲗᲣ ᲘᲛᲘᲡᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲮᲐᲠᲗ, ᲬᲘᲜᲔᲓᲐ ᲧᲕᲐᲠᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲚᲐᲕᲘᲐ ᲛᲐᲒᲝᲛ ᲓᲐᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲮᲨᲘᲠᲔᲓᲐ ᲙᲣᲗᲮ-ᲜᲐᲒᲚᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲯᲐᲕᲨᲔᲑᲘ?"

Ბ. ᲛᲔᲚᲐᲫᲔᲡᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲚᲘᲐ ᲯᲜᲑᲛᲝᲠᲒᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲠᲯᲐᲜ ᲪᲘᲜᲯᲐᲫᲔᲡᲗᲕᲘᲡ.

— რა დასამალია, — გვითხრა ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ, — აᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲡᲘᲐᲯᲣᲠᲗᲑᲘᲗ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲓᲐᲚᲘᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲜᲘᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲯᲕᲐ. ᲯᲔᲠ ᲯᲔᲠᲝᲒᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲒᲕᲘᲥᲕᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ. ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲤᲘᲜᲔᲡᲘᲐᲗ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲜᲑᲛᲝᲠᲒᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲓᲐᲯᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒ. ᲐᲮ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲡᲬᲐᲚᲐᲕᲚ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲯᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲓᲐᲚᲘᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲜᲘᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲯᲕᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐᲓ, ᲛᲘᲡᲘᲜ ᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ — ᲛᲣᲡᲝᲠᲒᲡᲙᲘᲡ „ᲑᲝᲠᲘᲡ ᲒᲝᲓᲣᲜᲝᲕᲜᲘᲡ“, ᲡᲐᲑᲠᲔᲓᲘᲗᲘᲡ „ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ“ — ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ „ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲝᲜᲔ�გᲘᲜᲘ“ ᲓᲐ „ᲞᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ“. ᲨᲔᲜᲘᲜᲕᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ... ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲚᲒᲐᲜᲘᲚᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲗ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲜᲑᲛᲝᲠᲒᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲓᲐᲯᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲣᲤᲘᲜᲔᲡᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒ. ᲐᲮᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲡᲬᲐᲚᲐᲕᲚ. ᲗᲛᲐᲑᲐᲭᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲘᲚᲑᲐᲕᲨᲕᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒ. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲓᲐᲚᲘᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲜᲘᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲯᲕᲐ. ᲐᲮᲚᲐᲡ ᲙᲐᲠᲐ ᲑᲜᲚᲘᲡ ᲜᲘᲜᲐᲗ ᲛᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲡᲘᲗᲛᲐ ᲐᲠᲨᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲣᲛᲬᲘᲡᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲓᲠᲝᲕᲜᲔ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐᲓ, ᲛᲘᲡᲘᲜ ᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲓᲐᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲠᲐᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲜᲑᲛᲝᲠᲒᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐᲓ, ᲐᲠᲐᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ — ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ, ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲐᲨᲘ, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲨᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲓᲠᲝᲕᲜᲔ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐᲓ, ᲛᲘᲡᲘᲜ ᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲓᲐᲚᲘᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲜᲘᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲯᲕᲐ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲠᲯᲐᲜ ᲪᲘᲜᲯᲐᲫᲔᲡᲗᲕᲘᲡ.

— ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲑᲐᲜᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲓ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲠᲯᲐᲜ ᲪᲘᲜᲯᲐᲫᲔᲡᲗᲕᲘᲡ.

— ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲓᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ. ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲠᲯᲐᲜ ᲪᲘᲜᲯᲐᲫᲔᲡᲗᲕᲘᲡ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲓ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲗᲐ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲯᲐᲜ ᲪᲘᲜᲯᲐᲫᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ნაცნობი სახეები

რევაზ ჩხეიძე: „გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ...“

ამ დღეებში სსრ კავშირის დეპუტატობის კანდიდატთა შორის სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა დაასახელა კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი რ. დ. ჩხეიძე.

— მე არ ვთვლი, რომ მხოლოდ ერთი სამუშაო მაქვს — რეჟისორული, სტუდიის დირექტორობა კი მეორეა, — ამბობს პატივცემული რევაზი. — ორივე ერთი მთელია. განგიმარტავთ, ასე რატომ ვფიქრობ, ხანში შესვლასთან ერთად, ალბათ, ყოველ ოსტატს ასე ემართება (მუსიკაშიც, მხატვრობაშიც, ლიტერატურაშიც): კაცი თავისი ხელობის, თავისი გატაცების მონად იქცევა და ამის გამო ერთფეროვანი, მოსაწყენიც კი ხდება. ეს ბუნებრივია: გაიფლანგა, დაიხარჯა, განახლება კი აღარ მოდის, გარდაქმნა, შემოქმედებითი პროცესისადმი შენეული მიდგომისგან უკან დახევა ყოველთვის ძნელია. ჩემთვის კი სწავლა ყოველდღე გრძელდება: დირექტორის თანამდებობა მავალებს მუდამ ახალგაზრდებთან, სამუშაო თაობის კინემატოგრაფისტებთან, თანატოლებთან — ძალზე განსხვავებულ, ნიჭიერ, მაძიებელ ხალხთან ვიმუშაო. ვცდილობ დავინახო, გავიაზრო: რა აქვთ მათ ახალი, როგორ წყვეტენ საკითხებს?

— მაგრამ კინოსტუდიის დირექტორობა განა მხოლოდ შემოქმედებითი კავშირია? ზემდგომ კინემატოგრაფულ ინსტანციებთან ურთიერთობა, სცენარების, ფილმების გატანაც ხომ არის. ეს კი, ალბათ, საკმაოდ რთული საქმეა...

— დიახ, რთულია. მაგრამ არაფერი შეედრება იმ მორიგ გამარჯვებით მოგვრილ მორალურ კმაყოფილებას, როდესაც ფილმის გადარჩენას მოვახერხებდი ხოლმე, თვით უძრაობის პერიოდშიც კი.

დღეს ერთგვარ მოდად იქცა პარტიული მუშაკებისა და სხვადასხვა ჯურის ჩინოვნიკთა კრიტიკა. არადა, რას გეტყვით, იცით? ბრძოლაში (სიტყვა „ბრძოლა“ მთლიანად შეესაბამება სინამდვილეს) მარტონი როდი ვიყავით, პირველ ყოვლისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გვედგა მხარში, რადგან კინოსტუდიები ჩვენში, რესპუბლიკაში, ტრადიციულად იდეოლოგიური მუშაობის ძალზე მნიშვნელოვან უბნად თვლება. ზოგიერთი ფილმი, ახლა რომ საეტაპოდ არის მიჩნეული ქართული კინოსათვის, საერთოდ არ იარსებებდა, მათს შექმნაში უშუალო მონაწილეობა პარტიულ ორგანოებს რომ არ მიეღოთ. ასე იყო, როდესაც ვიღებდი კინომოთხრობას რაიკომის მდივანზე, ასე იყო თ. აბულაძის „მონანიების“ შექმნისას.

ეს ფილმი საერთოდ „არალეგალური“ ნამუშევარია. სცენარს არავის ვაძლევდით წასაკითხად, არც მოსკოვში გვიჩვენებია..., რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მომავალი ფილმი ერთგვარ „სოციალურ შეკვეთად“ ჩათვალეს — დაფინანსეს, მუშაობისთვის ტრანსპორტიც კი გამოგვიყვეს. თუმცა, მართალი გითხრათ, სულაც არ ვიყავით დარწმუნებული, რომ მას ბედნიერი მომავალი ექნებოდა.

— ამბობენ, უკვე მზა ფილმი „მონანიება“ ავტორს სამი წელი ედო საწოლქვეშ..

— ეს ცოტა გადაჭარბებულია! თ. აბულაძე სამი არა, მაგრამ თითქმის ერთ წელიწადს მალავდა საწოლქვეშ. ვცდილობდით, რაც შეიძლება ნაკლებ ხალხს ენახა, საერთო წესიც კი დავარღვიეთ — მასალა სამხატვრო საბჭოსაც არ ვუჩვენეთ. ზედეტ ლაპარაკს, აჟიოტაჟს ვერიდებოდით. თვით თენგიზ აბულაძეს ყოველთვის სჯეროდა, რომ ფილმი საჭირო იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ეს სჯეროდათ იმათაც, ვინც ფილმი შეგვიკვეთეთ.

აი, ზოგჯერ როგორი ურთიერთობა გვქონდა ზემდგომ კინემატოგრაფულ ინსტანციებთან! ვერ ვიტყვი, იმ ამამად ჩვენს შორის ყველა საკითხი მოგვარებულიამეთქი, მაგრამ გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, ბევრად უფრო მოსწორებულია და უოლროჩოლრო. სსრ კავშირის სახკინო აქამადაც განიხილავს ჩვენს თემატურ გეგმას, შემდეგ — სცენარებს, მაგრამ, ჯერჯერობით, მწვავე თემატიკის მიუხედავად, წინააღმდეგობანი არ წარმოშობილა.

და მაინც მგონია რომ კინოსტუდიის დამოუკიდებლობა უნდა გაღრმავდეს — როგორც თემატიკის, ისე სამეურნეო მმართველობის მხრივაც.

— ხომ სწორედ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზეა ორიენტირებული კინოწარმოების ახალი მოდელი, რომლისთვისაც ახლა იბრძვის სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირი?

— ეს საკითხი არც ისეთი იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, საერთოდ კი საბჭოთა კინემატოგრაფი, განსაკუთრებით ეროვნულ რუსპუბლიკებში, ძალზე ცუდად არის მომზადებული ამ საქმისათვის.

რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენთო, ბოლოდან — გაქირავებიდან დავიწყებ. რას ნიშნავს თვითდაფინანსება? მე პროდუქციას ვგულისხმობ, ეს ფილმებია, ეს ეკრანებია, ეს ადამიანებია, ჩვენი ოპერატორები, რეჟისორები, ლაბორატორიები — ჩვენ ყველანი, ასე ვთქვათ „ქვის ხანაში“ ვმუშაობთ. კინოსტუდიების უთანაბრო პირობებში ჩაყენება, როდესაც გვაქვს ერთი და იგივე გაქირავება, გვყავს ერთი და იგივე მაყურებელი, უსამართლობაა, რა თვითდაფინანსებაზე შეიძლება აქ ლაპარაკი!

ადამისდროინდელ აპარატურაზე, რომლითაც გვიხდება გადაღება, წუნდებულ ფირებზე არაერთგზის დაწერილ და თქმულ. ყველა ეს პრობლემა სახელმწიფოებრივად უნდა გადაწყდეს, სხვაგვარად თანხა, რომელსაც ფილმებისთვის გამოგვიყოფენ, მოგებას ვერ მოიტანს.

სად არის გამოსავალი ამ მძიმე მდგომარეობიდან? ვფიქრობ, მის ძიებაში ზოგჯერ ხელს გვიშლის ძველებური აზროვნება, შემორჩენილი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი, როგორც მეორეხარისხოვანი საქმისადმი. ვეტყვით, რაც მაქვს მხედველობაში. ახლა, მაგალითად, სტუდია „ქართული ფილმი“ მრავალ წინადადებას იღებს უცხოური ფირმებისაგან: გვთავაზობენ ერთობლივ დადგმებს, შეკვეთებს, ჩამოდიან გადაღებებზე. მომგებიანია თუ არა ჩვენთვის მონაწილეობა? მომგებიანი იქნებოდა, სტუდიის დიდი, რთული სამუშაობისათვის ვალუტა რომ მიგვეღო. მას კინოწარმოების აღჭურვისათვის გამოვიყენებდით. მაგრამ, ჯერჯერობით, მთელი შრომისათვის მხოლოდ უმნიშვნელო თანხა — გამომუშავებულის 6 პროცენტი გვრჩება. კინომატოგრაფს ვალუტის სულ 10 პროცენტი ეძლევა— ჩვენი 6 პროცენტის გარდა, 2 პროცენტს იღებს სსრ კავშირის სახკინო და კიდევ ორს — „სოიუზეკსპორტფილმი“. რატომ და ვინ მოაწერა ხელი ბრძანებას 10 პროცენტზე, რომელიც ამთავითვე გვარიმეს მუშაობის სტიმულს?

ამას წინათ ეს საკითხი უმაღლეს დონეზე გადაწყდა „მოსფილმისათვის“ — სტუდიებს უკვე ჩარიცხული ვალუტის 90 პროცენტი დარჩებათ, სამართლიანობა მოითხოვს ეს დუბეელება ეროვნულ კინოსტუდიებზეც გავრცელდეს.

— პატივცემულო რევაზ, თქვენი აზრით, აუცილებელია თუ არა თვით შემოქმედებითი მუშაკების, თქვენი კოლეგების აზროვნების გადაჭრა?

— გავიხსენოთ: ქართველი რეჟისორები, მათს მორის თენგიზ აბულაძე, ოთარ იოსელიანი, ლანა ღოღობერიძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები და სხვანი, იღებდნენ მწვავე სოციალურ სურათებს, რომლებიც საზოგადოებაში გარდაქმნის საჭიროების აზრს აღვივებდა. დღეს კი, როცა თითქოს არავინ არაფერს გვიშლის, როცა ახალი შესაძლებლობები იქმნება, ზოგიერთი კინემატოგრაფისტი ერთგვარად დაიბნა კედეც. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ფართო გზისკენ გვიბიძგებენ, ჩვენ კი გაუბედავად მივაბიჯებთ, ვეძალიანდებთ, ვეჭვობთ: უფლებას მოგვცემენ მწვავე, მტკივნეულ საკითხებს შეეხოთ? ტვინში დღემდე გვიზის „რედაქტორი“. ხელოვანს თვითონ ეშინია ის თქვას, რაც უნდა. აი, ამ არის საჭირო გარდაქმნა, რათა ხალხმა სრულიად გულწრფელად იფიქროს მთავარზე, გაანალიზოს ჩვენი საზოგადოების ცხოვრება, დაინახოს გზა-სავალი, მომავალი. დიახ, მთლიანად უნდა გავთავისუფლდეთ.

—ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მტკივნეული პრობლემა, რომელიც დრომ წამოგვიყენა, ეროვნული საკითხია. თქვენი სტუდიის ფილმები ყოველთვის ღირსეულად ასახავდნენ ეროვნული ცხოვრების ტრადიციებს, მათ ვერ აურეკ სხვა რესპუბლიკების, სხვა ქვეყნების ოსტატთა კინოსურათებში. რა ამოცანები დგას თქვენს წინაშე დღეს ამ მხრივ?

— საზოგადოების ეროვნული თვითშეგნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში კინო, რა თქმა უნდა, გარკვეულ როლს ასრულებს. თუმცა, მე მგონია, ეროვნული ხელოვნება არასოდეს ეწინააღმდეგება ინტერნაციონალურს, ისინი დაკავშირებულია. თუ სურათი უბრალოდ ეთნოგრაფიული არ არის, ხალხის ცხოვრების ჭეშმარიტი, სიღრმისეული ნიშნებს ასახავს, იგი ყოველთვის საინტერესო იქნება სხვა რეგიონის მაყურებლისთვისაც.

ჩვენში, რესპუბლიკაში, დღეს არაერთი პრობლემა გვაქვს, რომლებიც გარკვეული ეროვნული ხასიათისაა და რომლებიც აქამდე ხელოვნებისათვის მეორე, შეთბე პლანზე იდგა. დღემდე ქართული კინემატოგრაფია იმვითათად წმოსწევდა ხალხისთვის საჭირო თემებს. ერთ დროს ჭიაურელმა დადგა „გიორგი საკაძე“, ეს იყო და ეს! ხალხი გვწერს, რატომ არ არისო სურათები დავით ალმაშენებელზე, თამარ მეფეზე, შოთა რუსთაველზე, ფრანსულის პროგრესულ მოღვაწეებზე, ეს სურათები ხომ დაგვეხმარებოდა უკეთ გავრკვეულიყავით დღევანდელობაში, უკეთაც განგვეჭვრიტაო მომავალი. ისტორიული ფილმის დადგმა ძნელია და ძვირი ჯდება, მაგრამ დღეს ვხედავთ — ეს საჭიროა.

წინა პლანზე გადმოინაცვლა ეკოლოგიურმა და მრავალმა სხვა საარსებო პრობლემამ. ერთი სიტყვით, ბობოქრობს დღევანდელობითა და გარდაქმნით გამოწვეიდებული მოქალაქეობრივი აქტიურობა და კინემატოგრაფისგან კონკრეტულ პასუხს, მხარდაჭერას მოითხოვს. ყოველივე ეს აუცილებლად აისახება ჩვენს ახალ ნამუშევრებში...

საუბარს უძღვებოდა
ოქსანა მოგილა.
„ტრუდი“.

მეგობრობის, დროის, საკუთარი თავის შესახებ

ციხარტყელას ფერებით შეეგება დამთვალიერებლებს ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც 30 იანვარს გაიხსნა მხატვრის სახლში. იგი თბილისის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად, ქართველ ხალხის წარმომადგენელთა სახვითი ხელოვნების ნამდვილ დღესასწაულად იქცა, რომლებიც საქართველოს მიწა-წყალზე ცხოვრობენ და მეორე სამშობლო პოვეს აქ.

გამოფენაზე ესქპონირებულია პროფესიონალ ოსტატთა და მყოვარულ მხატვართა 200-ზე მეტი ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ნამუშევარი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში. ეს ნაწარმოებები გვიჩვენებს ქართველ ხალხის ეროვნულ თვისებებს, მის ხასიათსა და ტემპერამენტს, ეთნოგრაფიულ თავისთავადობას და ზნე-ჩვეულებებს. მეტ წილ ნამუშევრებში გამოხატულია განსაკუთრებული დამოკიდებულება საქართველოსადმი, სიყვარული მისი მიწა-წყლისადმი მრავალრიცხოვან ჟანრულ ტილოებში, პეიზაჟებში წარმოგვიდგებიან თბილისი და თბილისელები. მხატვრები თითქოსდა ფურცლავენ ისტორიას, ეცნობიან წარსულს, რომელმაც მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე. და იგი, ალბათ, გამოფენის მთავარი გმირია.

ექსპოზიცია, რომელიც მოაწყვეს საქართველოს კულტურის სამინისტრომ, რესპუბლიკის მხატვართა კავშირმა, საქართველოს გენერალურმა სამუზეუმოსაგამოფენო გაერთიანება „ეროვნული სურათების გალერეამ“, თვალნათლივ გამოხატავს ქართველი და ქართი ხალხების კულტურათა ინტერნაციონალურ თანამგობრობას, | წარმოადგენს მეგობრობისა და ძმობის დიდებულ ჰიმნს. გამოფენაზე წარმოდგენილია იმ ქართი მხატვრების ნამუშევრებიც, რომლებიც ერევანსა და მოსკოვში ცხოვრობენ.

პირველი ასეთი წარმომადგენლობითი და მრავალფეროვანი გამოფენის გახსნა ქართ კოლეგებს, შეკრებილთ მიულოცეს საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ე. ამაშუკელმა, ხელოვნებათმცოდნემ გ. ხოშტარიამ, თბილისის მხატვრის სახლის დირექტორმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა თ. გოცაძემ, საქართველოს კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გაჭრეკელმა, ქართმა ჟურნალისტმა ქ. ანყოსმა.

ქართველ მეგობრებს, საქართველოს დედაქალაქის ყველა მცხოვრებს მადლობა გადაუხადეს ერევნიდან ჩამოსული ქართთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შ. ნგოიანმა.

თბილისელ სახვითი ხელოვნების მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია მხატვრების კ. ავდეიანის, ჯ. კალაშიანის, ა. მირზოევის, მ. მოგოევის, ლ. უტოიანის, ს. შაროიანის, ბ. ჯაფაროვას, ფუნჯიანა და საჭრეთლის სხვა ოსტატების ფერწერულმა და სკულპტურულმა ნაწარმოებებმა, ქართული სახალხო თეატრის სპექტაკლებისათვის შესრულებულმა ესკიზებმა, მაკეტებმა და გობელენებმა. ისინი ყველანი განსხვავდებიან ხელწერითა და ინდივიდუალობით, მაგრამ შთამბეჭდავი სიმართლით ასახავენ დროს, გვიამბობენ საკუთარ თავზე, ხოტბას ასხამენ მეგობრობას.

ვერნისაჟს დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი და ნ. ა. ფოფხაძე. (საქინფორმი).

ვინცენტ ფალავანდიშვილი

ბანგასუმის - მოუჟელობის ღვაწლმოსილ მუშაკთა რიგებს გამოაკლდა პერსონალური პენსიონერი, ომისა და შრომის ვეტერანი, 1945 წლიდან სკკპ წევრი მიხეილ ლავრენტის ძე **ფალავანდიშვილი.**

დაიბადა 1922 წელს. მაღარიელთა ოჯახში აღზრდილმა, 15 წლისამ დაიწყო მაღაროში მუშაობა, დაეუფლა სხვადასხვა წარავან პროფესიასა.

იბრძოდა დიდ სამამულო ომში. დაბრუნების შემდეგ ერთხანს მშობლიურ მდვიმევის კოლმეურნეობაში მუშაობდა. 1947 წლიდან თავის მშობლიურ — კალინინის სახელობის მაღაროს დაუბრუნდა, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა გამგორებლად, მებიგედ, ამწეშენდად, გვირაბგამყვანად. თავდადებული შრომისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის, ორი მეორე ხარისხის სამამულო ომის, წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მრავალი მედლით. მესამე ხარისხის მეშახტის დიდების და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნებით. მინიჭებული ჰქონდა ჭიათურის მანგანუმის წარმოების ვეტერანისა და დამრიგებლის საპატიო წოდებანი. არჩეული იყო სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1980 წლიდან მ. ღუღუნიშვილი პენსიიაზე იყო, მაგრამ შრომლიერ კოლექტივთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია, საქმიან რჩევა-დარიგებას აძლევდა ახალგაზდა კოლეგებს.

ალალი, კეთილშობილი მუშაკის, სპეტაკი კომუნისტისა და გულისხმიერი მეგობრის მიხეილ ღუღუნიშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამოსაქმეთა და მეგობართა შორის.

საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი; საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

მეხვედრა მუხრან მაჭავარიანთან

გასულ შაბათ-კვირას გურჯაანის და თელავის რაიონის მშრომელები, პოეზიის მოყვარულნი შეხვდნენ გამოჩენილ ქართველ პოეტს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს **მუხრან მაჭავარიანს.** პოეტებმა ხუტა ბერულავამ, ენვერ ნიფარაძემ, გივი ძნელაძემ, მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ, კრიტიკოსმა თამაზ წიფწიავაძემ, გურამ ბენაშვილმა ისაუბრეს პოეტის შემოქმედებაზე, მის მოქალაქეობრივ პოზიციაზე.

მუხრან მაჭავარიანმა პასუხი გასცა დამსწრეთა მრავალ კითხვას, წაიკითხა საკუთარი ლექსები.

სოფელს შეემატა

თელავი (საკ. კორ.) კონდოლი თელავის რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელია. აქ ხალხური შემოქმედების კარგი ტრადიციები არსებობს, მაგრამ შესაფერისი მატერიალური ბაზის უქონლობა ბევრ სიძნელეს უქმნიდა ხელოვნებით დაინტერესებულ სოფლის ახალგაზრდობას. სულ ახლახან კონდოლში მწყობრში ჩადგა ცოდნემ გ. ხოშტარიამ, თბილისის მხატვრის სახლის დირექტორმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა თ. გოცაძემ, საქართველოს კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გაჭრეკელმა, ქართმა ჟურნალისტმა ქ. ანყოსმა.

ქართველ მეგობრებს, საქართველოს დედაქალაქის ყველა მცხოვრებს მადლობა გადაუხადეს ერევნიდან ჩამოსული ქართთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შ. ნგოიანმა.

სპორტის ამბები

მოახლოვდა ჰიმალაის „მარათონი“

შვიდი წლის წინ საბჭოთა ალპინისტებმა პირველად დაიპყრეს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი. ჩვენი მთამსვლელების 22-კაციანი ჯგუფი ჰიმალაის ახალი შტურმისათვის ემზადება. ასასვლელად საჭირო 12 ტონა საჭურველი უკვე მიიტანეს შერემეტიევოს აეროპორტში. სპორტსმენთა პირველი ჯგუფი — დელეგაციის ხელმძღვანელი ედუარდ მისლოვსკი და უფროსი მწვრთნელი ვალენტინ ივანოვი დღეს მიემგზავრებიან კალკუტაში, გუნდის სხვა წევრები — 9 თებერვალს.

— გუნდი კარგ ფორმაშია და ჯერჯერობით პრობლემები არა გვაქვს, — განაცხადა ვალენტინ ივანოვმა. — უნდა დავლაშქროთ კანჩენჯანგის ოთხი მწვერვალი — დასავლეთის (8505 მეტრი), მთავარი (8586), ცენტრალური (8482) და სამხრეთის (8476). ჩვენს ალპინისტებს შესწევთ ძალა შეასრულონ ეს მეტად რთული ამოცანა. ვვარაუდობთ, რომ ტრავერსს 6-8 სპორტსმენი მაინც დაძლევს. დანარჩენები 1-2 მწვერვალს დაიპყრობენ.

გუნდის შემადგენლობაში შევიდა ევერესტზე ასვლის ხუთი მონაწილე: ლენინგრადელი ვლადიმერ ბალიბერდინი, ხარკოველი სერგი ბერშოვი, ალმაათელები — ყაზბეგ ვალიევი და ვალერი ხრიშატი, დონეცკელი მიხეილ ტურკევიჩი. მათთან ერთად ახალ ექსპედიციაში იქნებიან ლენინგრადელები სერგი არსენტიევი და მიხეილ მოყავევი, ალმაათელები— ანატოლი ბუკრეევი, გრიგოლ ლუკიანოვი, ვლადიმერ სუვიგა, რინატ ხარიბულინი და ზინურ ხალიტოვი, ხარატოველი სერგი ბოგომოლოვი, სვერდლოვსკელი ევგენი ვინოგრადსკი, ყარაგანდელი ვიქტორ დედი, მოსკოველები ვასილ ელავინი, ვლადიმერ კარატეევი და ალექსანდრე შეინოვი, დონეცოველი ვლადიმერ კარატაევი, უუკოვსკელი ევგენი კლინეცკი, როსტოველი ალექსანდრე პოგორელოვი და ხარკოველი ვიქტორ პასტუხი.

სატურნირო ორბიტა

ბადრაკი. კვებეკში (კანადა) და სიეტლში (აშშ) მიმდინარეობს იუსუპოვ-სპრაგეტისა და კარპოვ-ჰიარტარსონის მეოთხედფინალური მატჩები მსოფლიო პირველობაზე. კვებეკში მეტოქეებმა ექვსივე ძირითადი პარტია გაითამაშეს, მაგრამ, რაკიღა შეხვედრა ფრედ — 3:3 დამთავრდა, დაინიშნა დამატებითი 2 პარტია. თუ გამარჯვებული მაინც არ გამოვლინდება, ბრძოლა პირველ მოგებამდე გაგრძელდება. რაც შეეხება მეორე მატჩს, აქ 1,5:0,5 დაწინაურდა ანატოლი კარპოვი.

თბილისში, ჭადრაკის სახახლეში გრძელდება საკავშირო პირველობა ახალგაზრდა ოსტატთა შორის. ოთხი ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს საერთაშორისო ოსტატი ლემბიტ ოლი (ტალინი), რომელსაც 3 ქულა აქვს. საერთაშორისო ოსტატ აშოტ ანასტასიანს (ერევანი) 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ოსტატ ედუარდ როზენტალისს (ვილნიუსი) — 2,5 ქულა. 3-3 თამაშიდან ორ-ორი ქულა მოაგროვეს საერთაშორისო ოსტატმა ვლადიმერ აკოფიანმა (ერევანი) და ოსტატმა რუსტემ დაუტოვმა (მინსკი).

ფეხბურთი. ინდოეთის ქალაქ მარგაოში გრძელდება ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო ტურნირი ჯავაჰარლალ ნერუს პრიზზე. მეოთხე ტურში საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:2 დამარცხეს უნგრეთის ნაკრები. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს კობლევმა (2) და რევიშვილმა. საბჭოთა ნაკრები 8 ქულით ლიდერობს შეჯიბრებას. 6 ქულა აქვთ უნგრელებს.

ლენინგრადის „ზენიტის“ გამარჯვებით დამთავრდა დამშობლებული ქალაქების საერთაშორისო ტურნირი. ფინალში „ზენიტმა“ დაამარცხა პლოვდივის „თრაკია“ — 2:0.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ქალთა ტურნირი, როგორც მოსალოდნელი იყო, სახელგანთქმულმა დასავლელმა მარანელთა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა მოიგო. მან ფინალში იოლად დაამარცხა ჩეხოსლოვაკელი ჰელენა სუკოვა — 6:4, 6:4. ვაჟთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკელი სპორტსმენები —ივან ლენდლი და მიროსლავ მეჩირუი. გამარჯვა ლენდლმა — 6:2, 6:2, 6:2. ქალთა წყვილებში უძლიერესი იყო ამერიკელთა დუეტი — მარტინა ნავრატილოვა და პეტი ფენდიკი, ვაჟებში ასევე ამერიკელებმა — ჯიმ პიუმ და რიკ ლეჩმა გაიმარჯვეს. შერეულ წყვილთა შორის პირველ ადგილზე გავიდნენ პიუ და იანა ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია).

გასწორება

სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობა იუწყება, რომ „კომუნისტის“ 1989 წლის 31 იანვრის ნომერში საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის ტირაჟის ოფიციალურ ცხრილში დაშვებულია შეცდომა, კერძოდ: სერია 00898 № 147 თანხა 24 მანეთი, უნდა იკითხებოდეს ასე: 002898 № 147, თანხა 24 მანეთი.

ზამთრის ეტიუდები





ქმინდი

თებერვალი დადგა...

მონაცემებით ჰაერის საშუალო ტემპერატურა ამ თვეში დასავლეთ საქართველოს ბარში 4-7 გრადუსის ფარგლებში მერყეობს, ქართლის ვაკეზე და კახეთში მინუს 1 გრადუსიდან პლუს 3 გრადუსამდე იქნება. ხოლო მთიან და მაღალმთიან რაიონებში უმეტესად მინუს 1-დან მინუს 6 გრადუსამდე.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, მომდინარე წლის თებერვალში ჰაერის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში მოსალოდნელია 5-7 გრადუსი, მთაში 0-დან 3 გრადუსამდე. მაღალმთიან რაიონებში მინუს 3 — 5 გრადუსი, რაც ახლოსაა საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან. ნავარაუდევია შედარებით ცივი პირველი დეკადა. ამ დროს შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დაბლობში პლუს 2 — მინუს 3 გრადუსამდე. მთაში მინუს 3 — 8 გრადუსამდე. ხოლო მაღალმთიან რაიონებში მინუს 9—14 გრადუსამდე.

აღმოსავლეთ საქართველოში კი თებერვალი ცივი და თოვლიანია მოსალოდნელი. ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქართლის ვაკეზე, კახეთში და მთიან რაიონებში მოსალოდნელია 0 — მინუს 4 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში მინუს 6 — 9 გრადუსი, რაც ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე 1-3 გრადუსით დაბალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. თვის მეორე ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით ბარში მინუს 8 — მინუს 13 გრადუსამდე (შირაქისა და ელდარის რაიონებში და ზოგან მთაში მინუს 15 — მინუს 20 გრადუსამდე), მაღალმთიან რაიონებში მინუს 17 — მინუს 22 გრადუსამდე.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

რედაქტორი ნ. ჩერქეზიშვილი.

ნ. ტ. თავართქილაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 2 და 3 თებერვალს 19 საათზე განსვენებულის ბინაში (ბარნოვის ქ. № 166). გამოსვენება — 4 თებერვალს 15 საათზე ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლიდან (რუსთაველის პროსპექტი № 16). დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თბილისის ელექტროგადაწოდებელი ქარხნის ადმინისტრაცია, პარტიული და პროფკავშირული კომიტეტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი საყვირის“ ყოფილი რედაქტორი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი, „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი, 1938 წლიდან სკკპ წევრი

ილია ასალოს ძე ბოლქვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია — ოთხშაბათი, 1 თებერვალი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამეგრელოს ჩანახატები“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — შვეისნავლოთ გერმანული ენა. 17.00 — „ახალი ლაურეატები“. ალექსანდრე კორსანტია (განმეორებით). 18.00 — მოსწავლეთათვის. „ჩვენც ვსწავლობთ ქართულს“. 18.30 — გარდაქმნის ნახნაგები — „მეგობრების ეკრანი“ (მურმანსკის ტელევიზიის პროგრამა). 19.30 — დავით ალმაშენებელი — 900. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვარძია“. 20.00 — მოამბე. 20.35 — წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაზე (გადაცემა მეოთხე). 20.50 — ახალგაზრდული ზეიმი „ბერიკონში“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — არჩევნების შესახვედრად (მ.). 22.50 — ადამიანი XXI საუკუნიდან?! შეხვედრა ექიმ ა. კაშპიროვსკისთან.

მეორე პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი „ცხოვრების საგზური“. 18.50 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 19.20 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „ციფერთვალა მესერი“ და „გედის სიმღერა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „შენთან ერთად მიხარია ყველაფერი“. 21.50 — კინოჟურნალი. „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — არჩევნების შესახვედრად (მ.).

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „ქრისტეფორე კოლუმბი“. I და II სერია. 12.25 — ახალი ამბები. 12.35 — რას უმღერიან დედამიწის შვილები. 13.25 — მოგზაურთა კლუბი. 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი „ცირკი ჩამოვიდა“. I სერია. 17.50 — ახალი ამბები. 17.55 — ი. ჰაიდნი — № 41 სიმფონია დო მაჟორი. 18.15 — საბავშვო საათი. 19.15 — „ჩრდილოური ჰანგები“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ეროვნებათაშორისი ურთიერთობანი: ისტორიული გამოცდილება და პრობლემები. 20.45 — მხატვრული ტელეფილმი „ქრისტეფორე კოლუმბი“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — არჩევნების შესახვედრად. 22.50 — მხატვრულ-პუბლიცისტური პროგრამა „საფეხურები“. 0.20 — დღეს მსოფლიოში. 0.35 — მუსიკალური პროგრამა „გიწვევთ თეო ადამი“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „მუხნარი“. 9.45 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 10.05 და 12.05 — გერმანული ენა. 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „აკვარიუმი“. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 11.35 და 12.35 — ისტორია. IX კლასი. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში. 13.05 — მხატვრული ფილმი „მამა სერგი“. 14.35 — ახალი ამბები. 14.40 — ბუნებასთან თანხმობით. დოკუმენტური ფილმები. 18.05 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა დიუნებში“. I სერია. 19.20 — ახალი ამბები. 19.25 — ჰოკეი. „კრილია სოვეტოვი“ — მოსკოვის „დინამო“. შესვენებისას (20.50) — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.45 — უკრავს ყაზანის მუ